ამრიგად კლასიკური ინფორმაცია გადაცემული ქვანტური საკომუნიკაციო არხით შეიძლება „ჩაინეროს“ ქვანტურ მდგომარეობაში და გადაიცეს. განსხვავებით ქვანტური მდგომარეობა თავისთავად საინფორმაციო რესურსია, რამდენადაც მას აქვს სტატისტიკური გაურკვევლობა. გამოდის, რომ უცნობი ქვანტური მდგომარეობის შემცველ ინფორმაციას ხარისხობრივი განსხვავებები აქვს კლასიკურისგან და ამიტომ იმსახურებს სპეციალურ ტერმინს ქვანტური ინფორმაცია. ყველაზე ნათელი განსხვავება ქვანტურსა და კლასიკურ ინფორმაციას შორის არის კოპირების შეუძლებლობა („კლონირების შეუძლებლობა“).

ცხადია, კლასიკური ინფორმაციის (ემორჩილება ნიუტონის მექანიკის კანონებს) რეპროდუცირება შესაძლებელია ნებისმიერი რაოდენობით. მაგრამ მოწყობილობა, რომელიც შეასრულებს მსგავს ამოცანას ქვანტური ინფორმაციისთვის, ენინააღმდეგება ქვანტური მექანიკის პრინციპებს ტრანსფორმაციის შესახებ.

როგორ შეიძლება ქვანტური მდგომარეობის გადატანა? ცხადია, შესაძლებელია თვით სისტემის გაგზავნა. ბევრად უფრო საინტერესო და არატრივიალური გზაა ქვანტური მდგომარეობის ტელეპორტაცია, რომელშიც თავად სისტემა ფიზიკურად კი არ გადაიცემა, არამედ იგზავნება მხოლოდ კლასიკური ინფორმაცია. ამავდროულად, მნიშვნელოვანი დამატებითი რესურსი, რომელიც კვლავ ასრულებს „კატალიზატორის“ როლს, არის EPR კორელაცია საკომუნიკაციო არხის შესასვლელსა და გამოსასვლელს შორის. აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ შეუძლებელია ქვანტური მდგომარეობის გადაცემის შემცირება მხოლოდ კლასიკური ინფორმაციის გადაცემის ხარჯზე ქვანტური რესურსის გამოყენების გარეშე.

ქვანტური კომპიუტერის იდეა შემოგვთავაზა რიჩარდ ფეინმანმა ქვანტურ-მექანიკური სისტემების მოდელირებისთვის. შემდგომში დაისვა კითხვა: შეუძლია თუ არა ქვანტურ კომპიუტერს რაიმე პრობლემის გადაჭრა უფრო ეფექტურად, ვიდრე კლასიკურს. ასეთი პრობლემების უმარტივესი, მაგრამ საკმაოდ ხელოვნური მაგალითები განიხილეს დევიდ დოიჩმა და რიჩარდ ჯოზამ. მათი გაუმჯობესებაა ბარი საიმონის ალგორითმი, რომელიც ასევე საფუძვლად უდევს პიტერ შორის ალგორითმს, რომელიც ეფექტურად წყვეტს მნიშვნელოვან და პრაქტიკულად საინტერესო (ყოველ შემთხვევაში, კრიპტოგრაფიის თვალსაზრისით) პრობლემას დიდი რიცხვის მარტივ ფაქტორებად გადაქცევისას.

თუ ქვანტური სისტემა ერთ-ერთ მდგომარეობაშია, მაგალითად $S_j, j=1, 2, n$. შესაძლებელია მისი გაზომვა. ამისათვის საჭიროა არსებობდეს გაზომვის ოპტიმალური პროცედურა, რომელიც საშუალებას იძლევა აირჩეს საუკეთესო გზა სისტემის მდგომარეობის გასაგებად. პრობლემის ეს ფორმულირება დამახასიათებელია კომუნიკაციის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკისთვის.



სურათი 1. ქვანტურ-ინფორმაციული ჯაჭვი.

საზომი (მიმღები) აღწერილი იქნება დაკვირვებადი, ანუ $M = \{M_k\}$ ერთეულის დაშლით. k გადაწყვეტილების მიღების ალბათობა იმ პირობით, რომ j სიგნალი გაიგზავნა, უდრის

$$p_M(k | j) = \text{Tr } S_j M_k.$$

თუ სიგნალი j გაიგზავნა, მაშინ სწორი გადაწყვეტილების მიღების ალბათობა არის $p_M(j | j)$. დავუშვათ დამატებით, რომ სიგნალი j გამოჩნდება π_j ალბათობით (მაგალითად, თანაბარი სიგნალების შემთხვევაში $\pi_j = 1/n$). მაშინ სწორი გადაწყვეტილების საშუალო ალბათობა

$$P\{M\} = \sum_{j=1}^n \pi_j p_M(j | j),$$

და საშუალო შეცდომის ალბათობა უდრის $1 - P\{M\}$ და პრობლემა არის მისი მინიმიზაცია, ან მაქსიმიზაცია $P\{M\}$.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი არის კლოდ შენონის ინფორმაციის ცნება. ფორმულის მიხედვით, ორმხრივი ინფორმაციის რაოდენობა შეეყვანის J (არის შეეყვანის მდგომარეობის რიცხვი) და გამოშვებული K (k არის ამოხსნის რიცხვი) მოცემულია პიტერ შორის ფორმულით.

$I(X, Y) = H(Y) - H(Y/X)$, სადაც $H(Y)$ – არის ენტროპია, ხოლო $H(Y/X)$ პირობითი ენტროპია.

ზემოთ მოცემული მიდგომა გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ქვანტური ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში მიმდინარე კვლევების შედეგები ჩაანაცვლებენ „კლასიკურ“ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს და უფრო მეტად გამოყენებადი გახდება: ქვანტური გამოთვლები და ალგორითმები; ქვანტური ინფორმაციის თეორია; ქვანტური კრიპტოგრაფია; ქვანტური საკომუნიკაციო სისტემები; ქვანტური პროცესორები და კომპიუტერები; ქვანტური პროგრამირების ენები.

მთლიანობაში ქვანტური ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება რამოდენიმე ურთერთდაკავშირებულ ტექნოლოგიურ და თეორიულ მიდგომას მოიცავს ქვანტური ინფორმაციის დამუშავებისადმი და ქვანტური გამოთვლებისადმი:

ბირთვულ მაგნიტურ რეზონანსული მიდგომა:

- იონური ხაფანგი;
- ნეიტრალურ ატომური მიდგომა;
- ოპტიკური მიდგომა;
- მყარი მდგომარეობა;
- ზეგამტარობა;
- „უნიკალური“ ქუბიტი.

დღეისათვის ბევრი ალგორითმი და სხვადასხვა ტესტები იქნა შემონმებული თხევადი მდგომარეობის ბირთვულ მაგნიტურ რეზონანსის ქვანტურ ინფორმაციულ პროცესებზე, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა თეორიული იდეების ლაბორატორიული შეფასებით დამტკიცებულიყო მეთოდების არასაკმარისი სიზუსტე და არასრულყოფილება ქვანტური მართვის მისაღწევად.

მიუხედავად იმისა, რომ თხევადი მდგომარეობის ბირთვულ მაგნიტური რეზონანსი რჩება ყველაზე უფრო მოსახერხებელ ექსპერიმენტალურ სტენდარდ ქვანტურ ინფორმაციულ პროსექცებზე თეორიული შედეგების მისაღებად რალაც დრომდე, მისი შეზღუდულობა (დაბალი პოლარიზაცია, დასაშვები ქუბიტების შეზრუდული რაოდენობა და სხვ.) გულდასმით დოკუმენტირდება. ნარმატივული შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა ახალი გზები მამტაბირებადი მოწყობილობების შესაქმნელად. ამ გზების უმრავლესობას მივყავართ მყარი მდგომარეობის მაგნიტურ-რეზონანსთან, რაც მჭიდრო კავშირშია ქვანტური ინფორმაციის დამუშავების და ქვანტური გამოთვლების სხვა მიდგომებთან.

მყარი მდგომარეობის ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსში სპინის დიდი რიცხვის მანიპულირება თვალნათლივ დემონსტრირდება კორელაციით 100 ან მეტი სპინის მდგომარეობის მონანილეობით, და შესაძლებელია მათ დინამიკაზე ზუსტი დაკვირვება. ამან შესაძლებელი გახადა მომხდარიყო დეკოჰერენციის ჰემინგის კოჰერენტულობის ნონაზე დამოკიდებულების პირველი რაოდენობრივი კვლევა, რადგანაც

1. მიღწეულ იქნა ერთეულის რიგის პოლარიზაცია;
2. ურთიერთზემოქმედება უფრო ძლიერია და დაორქუბითიანი კარიბჭე (გეითი) უფრო სწრაფია;
3. დეკოჰერენციის ჯერი უფრო გრძელია;
4. შესაძლებელია თვითაღდგენადი რეგისტრის რეალიზება.

მართვის ინტეგრაციით შესწავლილ იქნა თხევადი მდგომარეობის პოლარიზაცია და მყარი მდგომარეობის ხანგრძლივი დეკოჰერენცია, რომელიც გამოვლინდა ოპტიკური ეფექტით. ყოველივე ეს ქმნის მყარ საფუძველს სპინზე დაფუძნებული ქვანტური ინფორმაციული პროცესების მამტაბირებადი მოწყობილობების შესაქმნელად. იგულისხმება, რომ ეს გამოცდილება შეუთავსდება სპინტრონიკის და მყარი მდგომარეობის ინჟინრულ შემუშავებებს.

ქვანტური ინფორმაციის დამუშავების იონური ხაფანგების სქემები განვითარდნენ დირაკის და ცოლერის ძირითად იდეებზე დაფუძნებულ შემუშავებებზე დაყრდნობით. ეს სქემები აკმაყოფილებენ დივინჩეცოს ყველა კრიტერიუმს და მათი უმრავლესობა ექსპერიმენტალურად იქნა ნაჩვენები. ამ შემთხვევაში, მამტაბირება შესაძლებელია მიღწეულ იქნას იონური ხაფანგების საშუალებით რომლებიც შეერთებულნი არიან:

1. ფოტონებით;
2. იონების მოძრავი „თავით“, რომელიც გადასცემს ინფორმაციას იონებს შორის ცალკეულ ხაფანგებში; ან
3. მასივში კვანძების ხაფანგებს შორის იონების გადაადგილებით.

ამ შემთხვევაში ქუბიტების იონი შეიძლება გადაადგილდეს კვანძებს შორის ხაფანგის რამდენიმე ზონაში დეკოჰერენციის გარეშე დაახლოებით გეითის დროის განმავლობაში. ქუბიტების იონების ეფექტურ გაყოფას ცალკეული კვანძების ტრანსპორტირებისათვის დასჭირდება მცირე რაოდენობის ხაფანგები ელექტროდის ერთიანი ზედაპირით. ეს შეიძლება შესრულდეს არსებული მიკრო-ელექტრო-მექანიკური სისტემების გამოყენებით ან ნანოსისტემური ტექნოლოგიით. ასევე შესაძლებელია შესრულდეს ოპტიკური შემაერთებლების მულტიპლექსირება. ამჟამად ძირითადი ძალისხმევა მიმართულია ეფექტური ელექტროდინამიკური ქვანტურ ხვრელური სქემების შექმნისაკენ, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის გადაცემას იონებსა და ფოტონებს შორის.

ამ შემთხვევაში ქუბიტების იონი შეიძლება გადაადგილდეს უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე თანამშრომლობამ თეორეტიკოსებსა და ექსპე-

რიმენტატორებს შორის დადასტურა ქვანტური კომპიუტერების და მასზე დაყრდნობით ქვანტური ინფორმაციული ტექნოლოგიების სიცოცხლის უნარიანობა. ერთ და ორ ქუბითიანი ქვანტური გეითების უნივერსალური ოჯახის შექმნამ გაამარტივა ქვანტური სქემის მოდელის ფიზიკური დიზაინი, რომელიც აუცილებელია მისი რეალიზაციისათვის. თეორეტიკოსებმა შესთავაზეს ქვანტური კომპიუტერის პირველი პოტენციურად სიცოცხლისუნარიანი პროექტი იონური ხაფანგების და ელექტრომაგნიტური რეზონანსის ტექნიკის გამოყენებით. შედეგად ექსპერიმენტატორებმა ააგეს ქვანტური კომპიუტერის პირველი პროტოტიპი.

ქვანტური კომპიუტერის არსებობა თავის მხრივ გულისხმობს ქვანტური გამოთვლებისათვის აუცილებელი ახალი ქვანტური ალგორითმების შემუშავებას. ახალი ქვანტური ალგორითმების ძიება წარმოადგენს ქვანტური გამოთვლების ერთერთ დიდ პრობლემას. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტორინგი და დისკრეტული ალგორითმები უზრუნველყოფენ სრულყოფილ დანართებს ქვანტური გამოთვლებისათვის, ქვანტური კომპიუტერების არსებობისას, კრიპტოგრაფია ვერ დაეყრდნობა მათ, რაც ამცირებს ამ ალგორითმების პარაქტიკულ ღირებულებას. ქვანტური ალგორითმების კვლევა ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია. პიტერ შორის ალგორითმის შემდეგ შემუშავებულ იქნა ალგორითმები ეგრეთწოდებული დაფარული ქვეჯგუფების პრობემების გადასაჭრელად. ასევე მნიშვნელოვანია ორი საკითხი – დიდრალური ჯგუფები, რომლებიც შეესაბამებიან ვექტორული ცხაურის უმოკლეს ამოცანას, და სიმეტრიული ჯგუფი, რომელიც შეესაბამება გრაფის იზომორფიზმს და გრაფულ ავტომორფიზმს. ამ საკითხების გადასაჭრელად ყველაზე პერსპექტიულ მიდგომას წარმოადგენს პიტერ შორის ფურიე-გაფართოებული მიდგომა და ახალი მეთოდი, რომელიც ეფუძნება ადიბატურ ევოლუციას, შემოთავაზებულს ფარჰის მიერ და შემუშავებულს არონოვის მიერ.

ბოლო წლებში გამოიკვეთა ქვანტური გამოთვლების მაღალი შესაძლებლობები ბიო-ინფორმაციულ კვლევებში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ არის ნათქვამი ქვანტური გამოთვლების პერსპექტიულობის შესახებ ბიოინფორმატიკაში, ქვანტური მიდგომის უპირატესობის მხოლოდ რამდენიმე პრაქტიკული ინტერესის მქონე მაგალითი არსებობს.

ეს განსაკუთრებით ეხება რაოდენობრივ მიდგომებს, რომლებიც სულ უფრო გადამწვევტი ხდება ბიოლოგიური პრობლემების გადაჭრისას. კერძოდ, გამოთვლით მეთოდებში გამოიკვეთა ორი კლასი, რომლებიც ბიოლოგიური კვლევების მთავარ ამოცანას წარმოადგენს.

(i) მეთოდები, რომლებიც დაფუძნებულია მოლეკულების, უჯრედების და სისტემების ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებზე და

(ii) კომპიუტერული მეცნიერების ის მეთოდები, რომლებსაც შეუძლიათ დიდი მონაცემების ნავიგაცია, რაც განსაკუთრებით სჭირდება, მაგალითად გენომიკურ კვლევებს.

ქვანტური გამოთვლის ბიოლოგიურ კვლევაში გამოყენების კარგი მაგალითია რემო როჰსისა და დანიელ ლიდარის შრომა, სადაც ნაჩვენებია თუ როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ქვანტური პროცესორი, როგორც პროგნოზირების ინსტრუმენტი ბიოლოგიის ფუნდამენტური პროცესის – გენის მარეგულირებელი ცილების გენომთან შეკავშირების შესაფასებლად. ეს არის ერთ-ერთი პირველი დოკუმენტირებული მაგალითი, რომელშიც ქვანტური პროცესორი იქნა გამოყენებული რეალურ ბიოლოგიურ მონაცემების დასამუშავებლად. კვლევა ჩატარდა D-Wave Two X მანქანაზე USC საინფორმაციო მეცნიერებათა ინსტიტუტში.

დნმ-ის გარკვეული თანმიმდევრობა ქმნის გენებს, რომლებიც წარმოადგენს ცილების წარმოქმნის „ინსტრუქციებს“, რომლებიც ახორციელებენ უჯრედში მიმდინარე პროცესებს. ამასთან ერთად, მისი მოლეკულური გარემოს გათვალისწინებით, უჯრედს შეიძლება დასჭირდეს გარკვეული ცილა, რომ მან განახორციელოს თავისი ფუნქცია. ცილების წარმოების კონტროლის ეს რთული პროცესი ცნობილია როგორც გენური რეგულაცია. ცილები, რომლებიც არეგულირებენ გენების თვისებებს, ტრანსკრიფციის ფაქტორებს (TF) უწოდებენ. იმისათვის, რომ განახორციელონ თავიანთი ფუნქცია მათ უნდა შეეძლოთ იპოვონ და მიემაგრონ გენომს კონკრეტულ ადგილებში.

ჯერ-ჯერობით არ არის ბოლომდე ნათელი, თუ როგორ ახერხებენ TF ცილები გენომში ფუნქციური ადგილების იდენტიფიცირებას ბევრ, თითქმის იდენტურ, მაგრამ არაფუნქციურ ადგილებს შორის. დნმ-ის ტრანსკრიფციისა და ცილების წარმოქმნის მექანიზმების უფრო სრულყოფილი ცოდნა მეტად მნიშვნელოვანია ბიოსამედიცინო მეცნიერებისათვის ცილებში მუტაციების უკეთესი წარმოდგენისა და გააზრებისათვის.

დნმ-ის ტრანსკრიფციის მთავარი ეტაპი არის ცილის შეერთება. თუმცა, ამ მოვლენას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც კმაყოფილება გარკვეული პირობები: დნმ-ის ანბანის ასოების გარკვეული თანმიმდევრობა (ადენინი, თიმინი, გუანინი და ციტოზინი) და მხოლოდ დნმ-ის ჯაჭვის გარკვეულ ადგილზე, რომელიც ცნობილია როგორც დამაკავშირებელი ადგილი.

მანქანური სწავლების მიდგომის გამოყენება ქვანტურ გამოთვლებში ბიოლოგიური მონაცემების მართვისა და მოდელირებისათვის მეტად მნიშვნელოვანია დნმ-ის გარკვეული თანმიმდევრობისას ძლიერი ან სუსტი შეკავშირების ადგილების ტრანსკრიფციის კონკრეტული ფაქტორების გამოვლინებისათვის. ამის შემდეგ შესაძლებელია ქვანტური პროცესორის მიერ გამოყენებული შაბლონებისა და მოდელების საშუალებით დნმ-რნმ-ის ზოგიერთი თანმიმდევრობის შებოჭვის სიძლიერის შეფასება. სპეციალურად შემუშავებულმა ალგორითმმა D-Wave Two X ქვანტური აპარატისთვის შესაძლებელი გახადა ისეთი პროგნოზირება, რომელიც შესაბამება რეალურ სამყაროში მოპოვებულ ექსპერიმენტულ მონაცემებს. აქედან გამომდინარე, ქვანტურ D-Wave Two X პროცესორს, როგორც ჩანს, შესწევს უნარი შეაფასოს დნმ-ის ჯაჭვის დამაკავშირებელი ადგილები, როგორც ძლიერი, ასევე სუსტი. ქვანტურმა გამოთვლელმა მან-


ქანამ ასევე შესძლო დასკვნების გამომუშავება, რომლებიც შესაბამება ბიოსისტემებში მიერ გენის რეგულირების ამჟამინდელ გაგებას.

დაკვნის მაგივრად

ამჟამად არ არის ცნობილი, თუ რა მიმართულებით და როგორ წარიმართება ქვანტური გამოთვლელი სისტემების განვითარება. აქტიური კვლევა მიმდინარეობს რამდენიმე მიმართულებით, ჩართულია მსოფლიოს მონიწივე კვლევითი ცენტრები და სამრეწველო გიგანტები, როგორცაა მაიკროსოფტი, აიბიემი, გუგლი და სხვები. ისინი საკმაოდ დიდ ინვესტიციას ახორციელებენ ახალ ქვანტურ კვლევებში. მაგრამ მთავარ კითხვას ჯერ პასუხი არ არის გაცემული თუ რა ტიპის კუბიტი მოიპოვებს ლიდერობას? რა ტიპის ქვანტური კომპიუტერი განახორციელებს რეალური პარამეტრების გამოთვლას და გვაჩვენებს რეალურ უპირატესობას? მაგალითად, თუ გავყვებით კომპანია ინტელის გზას ეფექტურად მოქმედი ქვანტური კომპიუტერის ასაგებად მოგვინებს განვანორციელებთ ლოგიკური გადასვლა ნახევარგამტარული მონოკრისტალებიდან სუპერგამტარ სქემებზე, ხოლო კომპანია აიბიემის შემთხვევაში ქვანტურ-მაგნიტური ან ფოტონური სქემების გამოყენება და ა.შ.

ლიტერატურა

- P. Kervashvili. Molecular Nanotechnology and Spinelectronics. Annual European Conference – ICT 08. European Commission, Lyon France, November 2008
- P. Kervalishvili. Quantum processes in semiconducting materials and spinelectronics. Rev. Adv. Mater. Sci. (RAMS), No 1. Vol 14, 2007.
- J.J. Ramsden, P.J. Kervalishvili. ComleXity and Security. NATO Science Series. V.37 IOS Press, 2008.
- B. Aronson, P. Kervalishvili, A. Lagutin. Studies of the carrier spin polarization in ferromagnetic semiconductors. Proceedings of the SiXth Japan-Mediterranean Conf. on Applied Electromagnetic Engineering and Nanomaterials, Bukharest, Romania. 2009.
- P. Kervalishvili. Quantum effects in molecular nanostructures with controlled disorders. Molecular materials, Book of abstracts, Montpellier, France. 2010.
- P. Kervalishvili. Spin transport in manganese doped nanostructured magnetic semiconductors. Nanostudies. Vol 2. Universal publ.house, Tbilisi, Georgia. 2010.
- P. Kervalishvili, M. Khachidze, M. Skhirtladze, R. Tatishvili, G. Tukhashvili, P. Yannakopoulos. Novel approaches to quantum information science and technology. Proceedings of International Scientific Conference eRA -5 Synergy Forum, Teipir, Athens, Greece, 2010.
- P. Kervalishvili, M. Khachidze. Some size and quantum effects in molecular nanostructures. Proceedings of JARMED'7, Budapest, Hungary. 2011.
- P. J. Kervalishvili. Nanostructures with controlled disorders: quantum effects in magnetic semiconductors. J. of Nanochemistry and Nanotechnologies. Nano 2010. Tbilisi, Georgia. 2011.
- P. J. Kervalishvili. Quantum information science: some novel views. Information and Computer Technologies. Nova Publishing, USA, 2011.
- M. Archuadze, G. Besiashvili, M. Khachidze P. Kervalishvili. Knowledge Engineering: Quantum Approach. Nato Science Series, IOS press, 2011.
- P.J. Kervalishvili. Philosophy of Quantum Information Science. Nato Science Series, IOS press, 2011.
- P. Kervashvili. Molecular Nanotechnology and Spinelectronics. Annual European Conference – ICT 08. European Commission, Lyon France, November 2008.
- P. Kervalishvili. Quantum processes in semiconducting materials and spinelectronics. Rev. Adv. Mater. Sci. (RAMS), No 1. Vol 14, 2007.



სურათი 2. ქვანტური კომპიუტერი ბიონინფორმაციული კვლევებისათვის

P.J. Kervalishvili. Philosophy of Quantum Information Science. Nato Science Series, IOS press, 2011.

P. Kervalishvili. Spin transport properties of manganese doped nanostructured magnetic semiconductors. Nano Studies N 2, 2010, Universal ISSN 1987-8826, p. 6-14.

P. Kervalishvili. Quantum effects in magnetic impurities doped metal-polymer nanocomposites. Proceedings of Molecular Materials Conference, MOLMAT 2010, 5-8 July, 2010. Montpellier, France.

P. Kervalishvili. Nanostructures with controlled disorders-materials for spinelectronics. Nanochemistry and nanotechnology. International Conference Proceedings. Tbilisi, March 23-24, 2010.

P. Kervalishvili. Quantum effects in molecular nanostructures. Nanochemistry and nanotechnology. International Conference Proceedings. Tbilisi, March 23-24, 2010.

P. Kervalishvili. Quantum Information Science Methodologies. Information and Computer Technologies, Modelling and Control. International Conference, Tbilisi, November 1-4, 2010.

P. Kervalishvili. Magnetic materials for quantum effects based sensors. Information and Computer Technologies, Modelling and Control. International Conference, Tbilisi, November 1-4, 2010.

P. Kervalishvili, M. Khachidze, M. Skhirtladze, R. Tatishvili, G. Tukhashvili, P. Yannakopoulos. Novel approaches to quantum information science: some methods and views. Proceedings of the International Conference ~eRA – Synenergy Forum 2010~. 5-18 September 2010. TEIPIR, Athens, Greece.

S. Michailidis, P. Kervalishvili. Philosophy and synergy of information. International Conference ~Batumi - Spring 2010~. BSU, Batumi, 7-10 May 2010.

P. Kervalishvili. Nanostructures with controlled disorders: Quantum effects in magnetic semiconductors. NANO – 2010, Nanochemistry and nanotechnologies, publishing House ~Universali~, Tbilisi, 2011, 209-218.

P. Kervalishvili. Is information a matter and does it have a mass? Philosophy and synergy of information: Sustainability and Security. Abstracts of International Scientific Conference, Tbilisi – Spring 2011, Georgian Technical University, Tbilisi, Georgia.

M. Archuadze, G. Besiashvili, M. Khachidze, P. Kervalishvili. Knowledge Engineering: Quantum ways. NATO Science series, IOS press, v.93, 2012, 175-186.

P. Kervalishvili. Philosophy of quantum information science. NATO Science series, IOS press, v.93, 2012, 55-73.

M. Archuadze, G.Besiashvili, M. Khachidze, P. Kervalishvili. Quantum Concepts in Information Retrieval, Application of Information and communication technologies – AICT, Book of papers, IEEE eXpress publishing, 2012, pp.417-421.

Paata Kervalishvili. Photons, Information Transfer and Speed of Light (Invited Lecture), International Conference eRA -7 The Synenergy Forum, TEIPIR, Athens, Greece, 2012.


P.J. Kervalishvili, A.K. Davaris, T.M. Berberashvili, P.I. Yannakopoulos. Quantum effects based nanosensory materials and systems. Abstract of International scientific conference IMCS -14, May 22-24, 2012, Budapest, Hungary.

45. P. Kervalishvili. Nuclear spin based model of quantum information system. Book of abstracts of International conference of Nanosensory Systems and Nanomaterials, June 6-9, 2013, EU-ISTC-GTU, Tbilisi, Georgia. 2013, p. 28-31.

P. Kervalishvili, Materials for Quantum Effects Based Nanosensors, Book of abstracts of International conference of Nanosensory Systems and Nanomaterials, June 6-9, 2013, EU-ISTC-GTU, Tbilisi, Georgia. 2013, p. 66-68.

Paata J. Kervalishvili and Tamara M. Berberashvili. Quantum Effects Based Materials for Nanosensory Systems. Black Sea Energy Resource Development and Hydrogen Energy Problems. NATO Science for Peace and Security Series-C; Environmental Security. Springer. p.359-372, 2013

P.Kervalishvili, M. Khachidze, A.Chirakadze, L. Chakhvasvili, P.Yannakopoulos, Strengthening security of nanosensory net-



სურათი 3. D-Wave Two X კვანტური აპარატის მოქმედების სქემა.

works by quantum methods, International Conference eRA 9 – Synenergy Forum, Piraeus, Greece, 22-24 September, 2014.

Paata J. Kervalishvili, Nature of Information Movement and Quantum Sensors. International Scientific Conference Nuclear Radiation Nanosensors and Nanosensory Systems, Technical University, Tbilisi, Georgia, 2014, p. 105-107.

P.J. Kervalishvili. Novel Approaches to Nanosensory Systems Development. American Journal of Condensed Matter Physics 2015, 5(1): 1-9 DOI: 10.5923/j.ajcmp.20150501.01. 2015

Paata J. Kervalishvili, Quantum Information Technology: Theory and Applications 2015 IEEE Seventh International Conference on Intelligent Computing and Information Systems, 12 – 14 December, 2015, Cairo, Egypt.

Paata J. Kervalishvili, Quantum Information Technology: Novel Way for Increase of Sensory Systems Capability, The 7th International Conference on Information Technology ICIT, Conference Proceedings May 12-15, 2015, Amman Jordan, ISSN 2306 610.

P.J. Kervalishvili, Some possible applications of Quantum Information Technology, International Scientific Conference eRA -10 The SynEnergy Forum, Piraeus University of Applied Sciences, 23-25 September, 2015.

P.J. Kervalishvili, Quantum Information Technology and Quantum Sensory Systems Development, Journal of Internet Technology and Secured Transaction, Volume 4, Issue 4, December 2015, pp 435-443. DOI: 10.20533/jitst.2046.3723.2015.0055.

Paata Kervalishvili, Manana Khachidze, Quantum approach to sensory information processing for modelling of disasters, NATO Science and Security series – Physics and Biophysics, Springer, pp.1-9, 2016.

P.J. Kervalishvili, D. I. Tseles, Quantum Information: Philosophy and Technology, International Scientific Conference eRA -11 The SynEnergy Forum, Piraeus University of Applied Sciences, 21-23 September, 2016.

P. Kervalishvili, T. Bzhalava, Optical Spectroscopy Investigations of Nanobioobjects, GTU-PUAS-UniFe workshop, University of Ferrara, Ferrara, Italy, 2-3 April, 2016.

Paata J. Kervalishvili. Teleportation – The Novel Achievements and Views (keynote lecture). The 8th IEEE International Conference on Intelligent Computing and Information Systems, Book of Abstract and Proceedings, Ain Shams University 5-7 December 2017, Cairo, Egypt.

Paata J. Kervalishvili. Data Storage – Quantum Approach (Key note lecture). Book of abstracts and proceedings of 2nd International Conference on Knowledge Engineering and Big Data Analytics (KE&BDA) 8-10 December 2017, Future University, Cairo, Egypt.

Paata Kervalishvili, ~Teleportation: Famous Approaches and New Results New Results~, XXXX International Scientific con-

ference in Biomedicine, Tbilisi State Medical University, 1-2-June, 2018, Tbilisi, Georgia.

Paata J. Kervalishvili, Quantum information technology: Theory and applications. Published in: 2015 IEEE Seventh International Conference on Intelligent Computing and Information Systems (ICICIS), IEEE Xplore: 04 February 2016. DOI: 10.1109/IntelCIS.2015.7397187, Publisher: IEEE. 15p.

P. Kervalishvili, Phenomenology of infodynamics. 3rd International Computational Science and Engineering Conference, 21-22 October 2019, Doha, Qatar.

Paata J. Kervalishvili. Quantum Information Technology and Quantum Biosystems. International conference on information science and communications technologies applications, trends and opportunities, <http://www.icisct2019.org/ICISCT2019>, 4-6 November, 2019, Tashkent University of Information Technologies named after Muhammad al-Khwarizmi, Tashkent Uzbekistan.

P. Kervalishvili, Entropy of a biosystems. International conference of Euroscience Georgian national section, Tbilisi, 5 June, 2021, Tbilisi state medical university.

Opticheskaya ryealizatsiya kubitov igrayut vazhnuyu rol' dlya nauki kvantovoi informatsii. V dopolnenie k ikh uspeshnomu primeneniyu eksperimental'nogo ryealizatsii kvantovoi kriptografii, fotonnykh kubitov byli odnimi iz pervykh fizicheskikh sistem dlya togo, chtoby ryealizatsiya mnozhestvennogo zaputyvaniya, kvantovye sostoyaniya i kvantovykh protsessov tomografii, teleportatsiya, dekoherentsiya bez podprostranstv (DFSS), i dazhe prostykh kvantovykh algoritmov. Fotony obladayut sobstvennym ot'sut'stvem kogerentnosti, a takzhe maksimal'noi tochnost'yu, s kotoroi oni mogut upravlyat'sya s pomoshch'yu standartnykh gotovykh komponentov. Po etim prichinam, opticheskie kubitov igrati i prodolzhayut igrat' vazhnuyu rol' v issledovanii osnov kvantovoi obrabotki informatsii (QIP), a takzhe osnovy kontrolya kachestva v sistemakh s nebol'shim chislom kubitov. Fotonnykh kubitov dlya kontrolya kachestva yavlyayut'sya osobenno privlekatel'nymi, poskol'ku oni mogut vzaimodeystvovat' neposredstvenno s razlichnymi kvantovo-kommunikatsionnykh prilozhenii (naprimer, ! Raspredeleennykh KK).

V svyazi s kraine malym foton-fotonnykh svyazi dostupny v sushchestvuyushchikh materialakh, on byl v odnoi tochke Schi-taet'sya, chto opticheskie kubitov nikogda ne mogut byt' ispol'zovany dlya masshtabiruemykh KK. Odnako, poslednie dostizheniya s medlennym svetom i "ostanovit'" svet pokazyvaet, chto eti ograniicheniya mogut byt' pryedoleny. Krome togo, interesnye rezul'taty poyavilis', kotorye pokazyvayut, chto svet, kotoryi pervonachal'no podgotovleny v neklassicheskikh "zazhatyi" gosudarstvo mozhet dat' dopolnitel'nye vygody dlya QIP (tak nazyvaemaya "nepreryvnaya peremennaya" kodirovaniya). Nakonets, on teper' ponyal, chto protsess vyavleniya foto samo po sebe mozhet privesti k effektivnoi foton-fotonnykh nelineinosti. Naprimer, bylo pokazano v Knill, Laflamme i Milbern (KLM) skhema, determinirovannykh istochnikov singlephoton (SPSS) i vysokoi effektivnost'yu odnofotonnykh detektorov (PPD) mozhet byt' ispol'zovana dlya ryealizatsii masshtabiruemykh QC tol'ko lineinykh opticheskikh elementov. Nizhe my ustanovimsya na etoi skheme v kachestve primera opticheskogo kontrolya kachestva. Tem ne menee, sleduet podcherknut', chto i drugie podkhody sledyat, i mogut imet' reshayushcheye znachenie dlya obshchego progressa v napravlenii masshtabiruemykh KK, dazhe yesli eti drugie podkhody sami po sebe ne osoznayut etogo. Naprimer, gibridnye skhemy s uchastiem kubitov, qudits i nepreryvnykh peremennykh, kak mozhet byt' ryealizovan v opticheskikh sistemakh, yes' interesnye i vazhnye svoistva, nekotorye iz nikh nadpis' "giper-zaputyvanie" (odnovremennoe zaputannost' v neskol'kikh stepenyei svobody), kotorye mogut sposobstvovat' opredelennykh zadach v kvantovoi obrabotki informatsii, takikh kak ochistka i kvantovaya korektsiya oshibok. Krome togo, opticheskaya sistema mozhet byt' ispol'zovana dlya izucheniya dekoherentsii yavno v upravlyaniem rezhime i ryealizatsii predlozhenii po predotvrashcheniyu negativnykh posledstviy dekoherentsii (naprimer, ! DFSS). Eto osobennost' opticheskoi zakodirovany kubitov, chto dekoherentsiya mozhet byt' kontroliruemo vvedeno iskusstvenno svyazi kubitov drugikh stepenyei svobody. Eta funktsiya pozvolyaet opticheskoi sistemy na baze, chtoby imitirovat' drugie ryealizatsii kubitov v ochen' chistoi, kontroliruemykh obrazom.

რეზიუმე

ქვანტური ინფორმატიკის ზოგიერთი ცნებები და ქვანტური ბიოინფორმატიკა

პაატა კერვალიშვილი

დაკენის მახვირად

ამჟამად არ არის ცნობილი, თუ რა მიმართულებით და როგორ წარმართება ქვანტური გამომთვლელი სისტემების განვითარება. აქტიური კვლევა მიმდინაეობს რამდენიმე მიმართულებით, ჩართულია მსოფლიოს მონინავე კვლევითი ცენტრები და სამრეწველო გიგანტები, როგორცაა მაიკროსოფტი, აიბიმი, გუგლი და სხვები. ისინი საკმაოდ დიდ ინვესტიციას ასორციელებენ ახალ ქვანტურ კვლევებში. მაგრამ მთავარ კითხვაზე ჯერ პასუხი არ არის გაცემული თუ რა ტიპის ქუბიტი მოიპოვებს ლიდერობას? რა ტიპის ქვანტური კომპიუტერი განახორციელებს რეალური პარამეტრების გამოთვლას და გვაჩვენებს რეალურ უპირატესობას? მაგალითად, თუ ვაყვებით კომპანია ინტელის გზას ეფექტურად მოქმედი ქვანტური კომპიუტერის ასაგებად მოგვიწევს განვახორციელებთ ლოგიკური გადასვლა ნახევარგამტარული მოწყობილობებიდან სუპერგამტარ სქემებზე, ხოლო კომპანია აიბიმის შემთხვევაში ქვანტურ-მაგნიტური ან ფოტონური სქემების გამოყენება და ა.შ.

SUMMARY

SOME CONCEPTS OF QUANTUM INFORMATICS AND QUANTUM BIOINFORMATICS

PAATA Kervalishvili

It is not yet known in what direction and how the development of quantum computing systems will proceed. Active research is underway in several areas, involving the world's leading research centers and industry giants such as Microsoft, IBM, Google and others. They are investing quite a bit in new quantum research. But the main question has not yet been answered as to what type of qubit will gain leadership? What type of quantum computer will perform the real parameters calculation and show us the real advantage? For example, if we follow the path of the company Intel to build an efficiently operating quantum computer, we will have to make a logical transition from semiconductor devices to superconducting circuits, while in the case of the company IBM, we will use quantum-magnetic or photon circuits, etc.

ცერებრული დამბლის კომპლექსური თერაპიის თანამედროვე ასპექტები

ნ. ჭოლოკაძე, ს. პახტაძე, ნ. ხაჭაპურიძე, ნ. კაპანაძე, მ. კოპალაძე, თ. ნადირაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, მ. იაშვილის სახ. ცენტრალური ბავშვთა ჰოსპიტალი

ცერებრული დამბლა – (ცდ) მოიცავს მოძრაობის და სხეულის პოზიის განვითარების პერმანენტული დარღვევების ჯგუფს, რომელსაც ახასიათებს აქტივობის შეზღუდვა და მიეკუთვნება არაპროგრესირებად დარღვევას, რომელიც ვითარდება ნაყოფის განვითარებად ან ჩვილის თავის ტვინში (1, 4, 5, 8).

ცდ-ის დროს მოტორული დარღვევები ხშირად თანხლებულია მგრძობელობის, მხედველობითი აღქმის, კოგნიციის, კომუნიკაციის ან ქცევის დისფუნქციით, ეპილეფსიით და/ან კუნთების და ჩონჩხის მეორადი პრობლემებით. ცერებრული დამბლა ბავშვთა ასაკის მძიმე უნარშეზღუდულობის გამომწვევი ერთ-ერთი ყველაზე ხშირი და ფართოდ გავრცელებული მდგომარეობაა.

1861 წელს ბრიტანელმა ქირურგმა ჯონ ლიტლმა ლონდონის მეანთა საზოგადოების სხდომაზე განაცხადა, რომ პათოლოგიური მშობიარობით გამოწვეული ასფიქსია იწვევს ნერვული სისტემის დაზიანებასა და ქვედა კიდურების სპასტიური დამბლის განვითარებას. ეს იყო იმ დაავადების პირველი აღწერა, რომელმაც შემდგომში მიიღო ცერებრული დამბლის სახელწოდება. აღნიშნული ტერმინი შემოიღო კანადელმა ექიმმა სერ ოსლერმა 1889 წელს (25, 28, 31).

ცერებრული დამბლის (ც.დ.) შესწავლაში დიდი როლი მიუძღვის ავსტრიელ ფსიქიატრს, ფსიქოლოგსა და ნევროლოგს ზიგმუნდ ფროიდს, რომელმაც მიუთითა, რომ ეს დაავადება შესაძლებელია განვითარდეს არა მარტო მშობიარობის პათოლოგიური მიმდინარეობისას, არამედ დაბადებამდე, მუცლადყოფნის პერიოდში სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით ცნს-ის განვითარებაზე. ფროიდმა ასევე ხაზი გაუსვა აღნიშნული დაავადების განვითარების დიდ პროცენტულ მაჩვენებელს ნაადრევად დაბადებულ და 1500 გრ. და ნაკლები წონის მქონე ბავშვებში, მანვე შეიმუშავა ცერებრული დამბლის პირველი კლასიფიკაცია.

მომდევნო წლებში მოწოდებული იყო ცერებრული დამბლის უამრავი კლასიფიკაცია. ბოლო 20 წლის მანძილზე ევროპაში და საქართველოშიც მიღებული იყო მილერის კლასიფიკაცია და საბოლოოდ დღეისათვის ჯან-

დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებულია და მოწოდებულია ც.დ. შემდეგი კლასიფიკაცია (4, 5, 8, 11, 17, 20).


2004 წელს ამერიკის შტატ მერილენდში ცერებრული დამბლისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სემინარზე დაადგინეს, რომ ცერებრული დამბლა არ არის მხოლოდ ეტიოლოგიური დიაგნოზი, არამედ არის კლინიკური მდგომარეობის აღმწერი ტერმინი, რომელიც წარმოადგენს სხეულის მდებარეობისა და მოძრაობის განვითარების დარღვევების ჯგუფს, გამომწვეულს ნაყოფის ან ბავშვის განვითარებადი თავის ტვინის არაპროგრესირებადი დაზიანებით და ვლინდება აქტივობის შეზღუდვით. გარდა მოტორული დარღვევებისა, ხშირია მგრძობელობითი, კოგნიტიური, კომუნიკაციური, პერცეპციული და ქცევითი დარღვევები, ასევე გულყრები. დაადგინეს რომ ცერებრული დამბლის ნებისმიერი ფორმის განვითარების მიზეზს წარმოადგენს თავის ტვინის ქერქის, ქერქქვეშა სტრუქტურების, კაფსულებისა და ლეროს სხვადასხვა მანვე ფაქტორებით გამოწვეული პათოლოგია (2, 9, 27).

ზოგადად, 1-2/1000 ცოცხლადშობილ ახალშობილს 3-5 წლისთვის აღენიშნება ც.დ. აქედან, ნახევარი დროული ახალშობილია და მეორე ნახევარი დღენაკლი ახალშობილი. იმ ჩვილებში, რომლებიც დაიბადნენ გესტაციის 32 კვირაზე უფრო ადრე ან 1500 გრამზე ნაკლები სხეულის მასით, სიხშირე მატულობს 80-100 შემთხვევა 1000 ცოცხლადშობილ ახალშობილზე (8, 19, 23).

ეტიოლოგიის დადგენაში მნიშვნელოვანია ნეიროგამოსახვითი მეთოდების (ულტრაბგერა, კომპიუტერული ტომოგრაფია და განსაკუთრებით მაგნიტურ რეზონანსული კვლევა – (მრკ) გამოყენება, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია დაზიანების ბუნებისა და დროის დადგენა (4, 6, 30).

ძირითადი დაზიანებანი, რომლებიც დღენაკლ ბავშვებში მოგვიანებით გვაძლევენ ცერებრული დამბლის სურათს, არის: პერივენტრიკულური ლეიკომალაცია, ინტრაკრანიალური ჰემორაგია, პოსტჰემორაგიული ჰიდროცეფალია, ბრონქოპულმონური დისპლაზია.

ცდ-ის ტიპი	ზმრ პოზიტიური	
ბილატერალური სპასტიური	90%	60%-ში პერივენტრიკულური ლეიკომალაცია (90% დღენაკლებში) 15% ქერქული და ქერქქვეშა/ბაზალური ბირთვების/თალამუსის დაზიანებები (4% დღენაკლებში). 10% მალფორმაციები (1.5% დღენაკლებში) 3% არაკლასიფიცირებული
უნილატერალური სპასტიური	90%	35% პერივენტრიკულური ლეიკომალაცია (85% დღენაკლებში) 30% ინფარქტი 20% მალფორმაციები 5% არაკლასიფიცირებული
დისკინეზიური	60-70%	50% ბაზალური ბირთვების/თალამუსის დაზიანება 15% პერივენტრიკულური ლეიკომალაცია იშვიათად: ბაზალური ბირთვების დაზიანებები („კერნიქტერუსი“)
ატაქსიური	40-50%	ნათხემის ჰიპოპლაზია (არ კორელირებს კლინიკურ სიმძიმესთან)



ცერებრული დამბლის განვითარების დროის % განაწილება

ც.დ. განვითარებაში პრეკონცეფტუალური ფაქტორებიდან მნიშვნელობა ენიჭება: დედის ინსულინდამოკიდებულ დიაბეტს, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებას, მკურნალობას სტეროიდებზე, ურგენტულ სამედიცინო ჩარევებს, მშობლების ასაკს, სოციალურ ფაქტორებს, ნევროლოგიური დაავადებების არსებობას ოჯახის წევრებში. ანტენატალური ფაქტორებიდან აღსანიშნავია: მძიმე პრეეკლამპსია, პლაცენტის აშრევა, ჰემორაგიები, მუცლადყოფნის განვითარების შეფერხება, დედის ინფექციები, TORCH სინდრომის არსებობა. ინტრანატალური ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია: ნაყოფის მენჯით წინ ან არასწორი მდებარეობა, ნაყოფის ჩაჭედვა სამშობიარო გზებში, ზოგადი ანესთეზია, დამხმარე საშუალებების გამოყენება (მაშები, ვაკუუმ ექსტრაქტორი და სხ.), ურგენტული საკეისრო კვეთა. პოსტნატალური ფაქტორებიდან აღსანიშნავია რესპირატორულ დისტრეს სინდრომის, ახალშობილთა ჰემოლიზურ დაავადებას, არაადექვატურ რენიმიაციას, ადაპტაციის მექანიზმების დარღვევას, ნეონატალურ პერიოდში გადატანილ მენინგო-ენცეფალიტს (7, 12, 29).

ცერებრული დამბლის დროს თავის ტვინის დაზიანება შეუქცევადია. დაავადების კლინიკური გამოხატულება დამოკიდებულია დაზიანების ლოკალიზაციაზე, გავრცელებაზე და ხარისხზე. სიმძიმე შეიძლება ვარიირებდეს მსუბუქი მოტორული დარღვევიდან ძალიან მძიმე მოშლილობამდე, როცა ჩართულია მთელი სხეული. ცერებრულ დამბლასთან ასოცირებული დარღვევები, მოტორული დისფუნქციის გარდა, თითქმის ყოველთვის მოიცავს ცერებრული ფუნქციის სხვა დარღვევებს, მათ შორის, კოგნიტურს (შემეცნებითს), მხედველობის, სმენის, მეტყველების, ქერქული მგრძობელობის, ყურადღების, ქცევის დარღვევებს და სხვ., ხშირად თან ერთვის ეპილეფსიაც. ცერებრული დამბლის მთელი პოპულაციისა დაახლოებით 65%-ს აღენიშნება სხვადასხვა ხარისხის მენტალური რეტარდაცია და სწავლის სიდნელეები.

ცერებრულ დამბლასთან ასოცირებული ცენტრალური ნერვული სისტემის პათოლოგია ნეიროიმიჯინგის მონაცემებით მოიცავს: ჰემორაგიას, მექანიკურ დაზიანებას, ღრმა სტრუქტურების ჰიპოქსიას, ქერქის ჰიპოქსიას, გარდამავალ ან შეუქცევად იშემიას, რომლის საბოლოო შედეგი არის უჯრედთა ნეკროზი. შემთხვევათა დაახლოებით 50%-ში ცერებრული დამბლის ეტიოლოგიას განსაზღვრავს სპეციფიკური ჰიპოქსიური მოვლენები, ასოცირებული უჯრედთა სწრაფ და შეუქცევად კვდომასთან. თავის ტვინის ზოგიერთი უბანი განსაკუთრებით ადვილად ექვემდებარება სხვადასხვა დაზიანებას. მაგალითად, ზოგიერთი უბნის სისხლმომარაგების ვარიანტული უზრუნველყოფა და „მეტაბოლურ მოთხოვნილებათა“ უნიკალურობა ზრდის ჰიპოქსიისადმი ტვინის სენსიტიურობას ნაყოფის ბაქტერიული ან ვირუსული ინფექციების დროს (7, 10, 16, 22).

ცერებრული დამბლის დიაგნოსტიკა მოიცავს: პაციენტის ისტორიის სრულ კვლევას, ფიზიკურ გასინჯვას (პოზა, აქტიური და პასიური მოძრაობა, მგრძობელობა, ძალის, კუნთთა ტონუსის, მოძრაობის დარღვევის ტიპი და ხარისხი, კიდურების დეფორმაცია და ა.შ.). ც.დ გამოკვლევა უნდა ტარდებოდეს მულტიდისციპლინური გუნდით: ნევროლოგი, პედიატრი, ორთოპედი, რეაბილიტოლოგი, ოკულისტი, პროტეზისტი, ლოგოპედი, ფსიქოლოგი. დამატებით გამოკვლევის მეთოდებში შედის: თავის ტვინის CT ან MRI (PET, SPECT) ე.ე.გ, ე.ნ.მ.გ., გენეტიკური კვლევა მეტაბოლიზმის, თანდაყოლილ დეფექტებისა და სხვა გენეტიკური პათოლოგიის გამოსარიცხად.

ცერებრული დამბლის კლინიკური სურათი ყოველთვის არ არის „სუფთა“. სპასტიკური სინდრომების დროს ხშირად აღინიშნება უნებლიე მოძრაობები, დისკინეზური და ატაქსიური სინდრომების დროს – კი პირამიდული ნიშნები. უფრო მეტიც, ცერებრული დამბლის ყველა სინდრომი გარკვეული ხარისხით ხასიათდება ანომალური მოტორული აქტებითა და პოზით, ისე, რომ ნებისმიერი მოძრაობა ხდება არაკოორდინირებული, სტერეოტიპული და შეზღუდული. მძიმე დაზიანების შემთხვევაში ნებისმიერი მოძრაობის დაწყების მცდელობამ შეიძლება გამოიწვიოს პირამიდული რეფლექსების რეალიზება, აგონისტი და ანტაგონისტი კუნთების ერთდროული შეკუმშვა და მასიური, გენერალიზებული მოძრაობები. ამავე დროს ცალკეული, იზოლირებული მოძრაობის შესრულება შეუძლებელი ხდება. ითვლება, რომ სინდრომის საბოლოო და თვალსაჩინო ჩამოყალიბება უმთავრესად ხდება 5 წლის ასაკში (11, 24, 30, 32).

დიფერენციალური დიაგნოზი უნდა გატარდეს შემდეგ დაავადებებთან და მდგომარეობებთან: ნეიროდეგენერაციული დაავადებები, მეტაბოლიზმის თანდაყოლილი დეფექტები, ზურგის ტვინის განვითარებითი ან ტრავმული დაზიანებები, ნერვ-კუნთოვანი დაავადებები, პროგრესირებადი ჰიდროცეფალია, სუბდურალური ჰემატომა.

ცერებრული დამბლის პროგნოზი დაკავშირებულია კლინიკურ ტიპთან, მოტორულ განვითარებასთან, ახალშობილის რეფლექსების განვითარებასთან, ინტელექტუალურ დეფიციტთან, სენსორულ დარღვევებთან, ემოციურ-სოციალური ადაპტაციის ხარისხთან. პროგნოზი უმჯობესია ადრეული ჩარევის პერიოდში, რაც განაპირობებს კონტრაქტურებისა და დეფორმაციების ნაწილობრივ პრევენციას, რისი შედეგიც არის პოზისა და ფუნქციის ოპტიმიზაცია. ცერებრული დამბლით დაავადებულთა 70-80% აღწევს ზრდასრულ ასაკს. სიკვდილიანობის მაჩვენებელი მაღალია და სიცოცხლის ხანგრძლივობა დაბალი იმ ბავშვებში, რომელთაც აღენიშნებათ მძიმე კვადრიპლეგია, ჰიდროცეფალია, ძირითადი უნარჩვევების დეფიციტი, რეფრაქტერული გულყრები და ღრმა მენტალური რეტარდაცია. ინტელექტუალური დარღვევები მით უფრო მძიმეა, რაც უფრო ღრმად მოტორული მოშლილობები. თუ 2 წლამდე ასაკში ბავშვმა ვერ შეძლო ჯდომა და ნაბიჯების გადადგმა, 20 თვემდე თავი ვერ უჭირავს, 24 თვემდე არ ხდება პრიმიტიული რეფლექსების რედუცირება და არ არის განვითარებული პოსტურალური რეაქციები, არ არის ცოცხა 5 წლამდე, შემდგომი მოტორული განვითარების პროგნოზი ცუდია. ჰემიპლეგიური, ათეტოზური ან ატაქსიური ფორმის დროს სწორად და დროულად წარმართული თერაპიის შედეგად ავადმყოფმა უნდა შეძლოს დამოუკი-

დებლად სიარული. ცერებრულ დამბლას არ ახასიათებს პროგრესირებადი მიმდინარეობა მოტორული ფუნქციები და ნიშნები შეიძლება შეიცვალოს მნიშვნელოვნად სიცოცხლის პირველ წლებში. ცდ-ის მქონე ზოგიერთ ბავშვთან დიაგნოსტიკა ძნელდება ვინაიდან ასაკში ან უფრო ხანგრძლივადაც კი, მაშინ როდესაც სხვა ბავშვებთან ცდ-ის ტიპი და სიმძიმე შეიძლება შეიცვალოს კიდევ ერთ-ერთი კვლევის თანახმად, იმ მაღალი რისკის მქონე ჩვილების 50%-ში, რომლებთანაც ჰქონდათ საეჭვო ცდ 12 თვის ასაკისთვის, ეს დიაგნოზი არ დადასტურდა როდესაც მონაცემების განიხილეს 7 წლის ასაკისთვის, თუმცა ამ ბავშვებში აღინიშნა ისეთი კომორბიდული მდგომარეობების მაღალი სიხშირე, როგორიცაა დასწავლის დარღვევები, ქცევითი სირთულეები და ეპილეფსია. მოტორული პრობლემების მენჯემენტი ემყარება ფიზიოთერაპიას. არსებობს ფიზიოთერაპიის რამდენიმე სხვადასხვა „სკოლა“, რომლებიც იყენებენ სხვადასხვა მეთოდს. რომელიმე მათგანის უპირატესობა სხვა მეთოდთან შედარებით დამტკიცებული არ არის. სიცოცხლის პირველ 2 წელს ისეთი ინტერვენციების, როგორიცაა: კუნთების რელაქსანტები (ბაკლოფენი, დიაზეპამი, და ა.შ.), ბოტულინის ტოქსინი, ორთეზები და ორთოპედიული ქირურგია ჩვეულებრივ ნაჩვენებია არ არის. თუმცა გამშლელელებში განვითარებული მძიმე სპაზმის მკურნალობა შეიძლება: ორალური ბაკლოფენით და სპეციფიური პოსიტ (კისრი მსუბქური მოზხრით). სპასტიურობის შემცირების სხვა ფორმები, როგორიცაა: ინტრატეკალური (მაგ, იმპლანტირებული პეისმეკერის ჩანერგვა და ბაკლოფენის გავრცელება თავზურგტვინის სითხით) ბაკლოფენი, დორსალური რიზოტომია ასევე არაპრაქტიკულია ამ ასაკობრივ ჯგუფში

მკურნალობა

ცერებრული დამბლის მკურნალობა მოითხოვს მულტიდისციპლინურ მიდგომას. მკურნალობის მიზანია: კომუნიკაცია, ბავშვის სოციალური და ემოციური განვითარება, განათლება, დამოუკიდებლობის შესაძლებლობა ყოფაცხოვრებაში, ნორმალური გარეგნობა, კვება, მობილურობა. დასახულ უნდა იქნას რეალური ფუნქციური მიზნები, რომლებიც პერიოდულად უნდა გადაფასდეს. ეს მიზნები უნდა ეფუძნებოდეს ექსპერტთა შეფასებას და პროგნოზს. მიზანი უნდა იყოს მაქსიმალური შედეგით განვითარების ყველა სფეროში. ცდ-ს მართვაში ოპტიმალურია ჩაერთოს ექიმთა გუნდი: პედიატრი, ნევროლოგი, ორთოპედი, რეაბილიტოლოგი, მასაჟისა და ვარჯიშის მეთოდისტი. შემდგომ საჭიროებისას ოკულისტი, ეპილეფტოლოგი, ნეიროქირურგი, პროტეზისტი, ოკუპაციური თერაპევტი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი. ასევე მომდევნო პერიოდში უნდა ჩაერთოს სოციალურ-ყოფაცხოვრებითი ადაპტაციისთვის სპეციალისტი, პედაგოგი, სოციალური მუშაკი, იურისტი.

ცდ-ს თანამედროვე რეაბილიტაცია წარმოადგენს ღონისძიებების კომპლექსს რომლებიც მოიცავს: სამედიცინო, ფიზიკურ, ფსიქოპედაგოგიურ და სოციალურ-ყოფაცხოვრებით რეაბილიტაციას. მკურნალობის ეფექტი დამოკიდებულია ორ მთავარ პრინციპზე – კომპლექსური მიდგომა და უწყვეტი თერაპია.

მკურნალობის მიდგომებია: თერაპიული ინტერვენცია, ფარმაკოლოგიური (მედიკამენტური) თერაპია, ორთოპედიული ქირურგია, დამხმარე (ტექნოლოგიური) საშუალებები (10, 14, 19, 26).

არსებობს ცდ-ს მკურნალობის მრავალი მეთოდი, მათ შორის: ბობატ თერაპია, პეტე-ს მეთოდი, მონტესორის მეთოდი, ვოიტა თერაპია, ულზიბატის ქირურგიული მეთოდი (ეტაპური ფიბროტომია), A ტიპის ბოტულინის ტოქსინით თერაპია, ბაკლოფენის ინტრატეკალური შეყვანა, ქირურგიული-ფუნქციური ნეიროქირურგია: სელექტიური რიზოტომია, ნევროტომია, ზურგის ტვინის ქრონიკული ეპიდურული ნეიროსტიმულაცია, თავის ტვინის ქერქქვეშა სტრუქტურებზე ოპერაციული ჩარევა. ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორთოპედიულ კორექციას, სხვადასხვა დატვირთვის პნევმო-სკაფანდრებს, ანიმათერაპიას, დელფინოთერაპიას, რაიდთერაპიას და სხვ (3, 11, 17, 22, 28).

თერაპიული ინტერვენცია მოიცავს: ფიზიკურ თერაპიას, ოკუპაციურ თერაპიას, მეტყველების და ენის თერაპიას. მკურნალობის ამ სამ მიდგომას საჭიროებს ცერებრული დამბლის მქონე ბავშვთა უმრავლესობა.

ფიზიკური თერაპია ცერებრული დამბლის მქონე ბავშვთა მკურნალობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დისციპლინაა. ეს არის ფიზიკური დისფუნქციის მკურნალობა თერაპიული ვარჯიშების, კუნთთა ტრენინგისა და დამხმარე საშუალებების გამოყენებით, ნორმალური ფუნქციის, განვითარების, მობილურობის, სტაბილურობის, დამოუკიდებლობისა და სიცოცხლის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობისათვის. ფიზიკური თერაპიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ფუნქციის გაუმჯობესება აქტიურ მოძრაობათა სტიმულირებისა და ანომალურ მოძრაობათა შეზღუდვის ხარჯზე. ფიზიკური თერაპიის პროგრამის უპირველესი მიზანია დაზიანების შედეგების მინიმიზაცია, უნარშეზღუდულობის შემცირება და ფუნქციის ოპტიმიზაცია. მნიშვნელოვანია ადრეული ჩარევა კონტრაქტურების პრევენციისა და კუნთთა ანომალური ტონუსის ინჰიბიციის მიზნით (10, 22, 30).

ოკუპაციური თერაპია არის საკუთარი თავის მოვლის, შრომა/პროდუქტიული აქტივობების და თამაშ/დასვენების აქტივობების თერაპიული გამოყენება დამოუკიდებელი ფუნქციის გაძლიერების, განვითარების გაუმჯობესების და უნარშეზღუდულობის პრევენციისათვის. ოკუპაციური თერაპია არის ფიზიკური, ფსიქოლოგიური და უნარშეზღუდულობის გამომწვევ სხვა მდგომარეობათა შეფასება და მკურნალობა სელექტიური აქტივობების მეშვეობით, ყოველდღიურ ცხოვრებაში ეფექტური ფუნქციონირებისათვის. ოკუპაციური თერაპიის მიზანია, დაეხმაროს ადამიანს იმ ფიზიკური უნარჩვევების გამომწვევაში, რომლებიც მას ესაჭიროება ფუნქციონირებისა და დამოუკიდებლობისათვის. ოკუპაციური თერაპიის სპეციალიზაციის სფეროებს წარმოადგენს: მოტორული უნარ-ჩვევები – კონცენტრირებით ნატიფ მოტორულ ფუნქციებზე, ადაპტაციური საშუალებები, პოზა და ჯდომა, კვება, თავის მოვლა, ყოფითუნარიანობა, ორთეზები – ძირითადად ზემო კიდურების, სენსორული ინტეგრაცია, კომუნიკაცია, მოძრაობის ამპლიტუდა, ვიზუალურ-მოტორული პერცეფცია (აღქმა) (8, 10, 14, 26, 31).

მეტყველების და ენის თერაპია ეხმარება ადამიანს კომუნიკაციური უნარჩვევების განვითარებაში, საკუთარი აზრების გამოხატვისა და სხვათა მიერ გამოხატული აზრების გაგებისათვის. ცერებრული დამბლის მქონე ბავშვებთან მეტყველებისა და ენის თერაპია ასევე მუშაობს კვების პრობლემებზე. მეტყველებისა და ენის თერაპიის სპეციალიზაციის სფეროებს წარმოადგენს: კომუნიკაცია და ენა, დამატებითი საშუალებები კომუნიკაციი გა-

უმჯობესებისათვის, შესტებისა და ნიშნების ენა, კვება, ორალურ-მოტორული ჩვევები, რესპირაცია, ფონაცია, არტიკულაცია, ყლაპვა, სენსორული ინტეგრაცია და სხვ.

ცერებრული დამბლის მქონე ბავშვთა გარკვეულ რაოდენობას ესაჭიროება ფსიქოლოგიური დახმარება, რაც მოიცავს ფსიქოლოგიურ ტესტირებას, კოგნიტური უნარებისა და გონებრივი განვითარების შეფასებას სპეციალური შკალების მეშვეობით, ფსიქოლოგიურ კორექციას. კოგნიტური უნარებისა და გონებრივი განვითარების შეფასებისათვის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში გამოიყენება შემდეგი შკალები: „ჩვილი ბავშვის განვითარების ბეილის შკალა“ (Bayley Scales of Infant Development), „კაუფმანის ბატარეა ბავშვის შეფასებისათვის“ (Kaufmann Assessment Battery for Children), „ვექსლერის ინტელექტის შკალა ბავშვებისათვის“ (Wechsler Intelligence Scale for Children) და სხვ.

რაც შეეხება ც.დ. ფარმაკოლოგიურ (მედიკამენტურ) თერაპიას: ორალურმა მედიკამენტებმა, რომლებიც გამოიყენება კუნთთა ანომალური ტონუსის მკურნალობისათვის იმედგაცრუება გამოიწვია და სულ უფრო იშვიათად გამოიყენება. ასევე იმედგაცრუება გამოიწვია ორალურმა მედიკამენტებმა, რომლებიც გამოიყენებოდა დისკინეზიის, დისტონიის, ათეტოზისა და ჰემიბალიზმის მკურნალობისათვის.

მრავალი წელია რაც ც.დ. მკურნალობაში გამოიყენება ბოტულინის ნეიროტოქსინის შემცველი ადგილობრივი მიორელაქსანტების შეყვანა (დისპროტი და ბოტოქსი). ბოტულინის ტოქსინი ამცირებს აცეტილქოლინის გამოყოფას ნერვკუნთოვანი კავშირის პრესინაფსურ მიდამოში. ბოტულინის ტოქსინის ინექცია სპეციფიკურ კუნთში ასუსტებს ამ კუნთს, ინვესს მის ნაწილობრივ დამბლას. სპასტიური კუნთის მოღუნებას და აგონისტიკური კუნთის გაძლიერებას. მინიმუმამდე დაჰყავს კონტრაქტურების ჩამოყალიბების შესაძლებლობას. მეთოდი გამოიყენება როცა დეფორმაცია განპირობებულია სპასტიურ კუნთთა შეზღუდული რაოდენობით. ტკივილი მინიმალურია და გრძელდება არაუმეტეს 5 წთ-ისა. ეფექტი გრძელდება 3-6 თვე, ზოგჯერ ერთი წელიც, რის შემდეგაც ხშირად საჭირო ხდება ინექციის გამეორება. ბოტულინის ნეიროტოქსინის შემცველი მედიკამენტების ეფექტურობა იზრდება ფიზიკურ თერაპიასა და ორთეზების დანიშნავსთან ერთად კომბინირების შემთხვევაში (13, 15, 21).

ცდ-ს სპასტიური სინდრომის სამკურნალოდ 1990-იანი წლებიდან დაიწყო ბაკლოფენით ინტრათეკალური თერაპია. ბაკლოფენი წარმოადგენს ცენტრალური მოქმედების მიორელაქსანტს. ოპერაცია ტარდება საერთო ნარკოზის ქვეშ. L3-L4 მალეების წვეტიანი მორჩების დონეზე კეთდება კანზე განაკვეთი, შემდგომ კათეტერის სპინალური სეგმენტის ინვლანტაცია მიმდინარეობს ირიბი პარამედიალური მიდგომით. საჭირო დონის მიხედვისას ფიქსირდება სპეციალური ფიქსატორით და დამატებით მაგრდება ნაკერით. ტუმბოს კორპუსი იმპლანტირდება კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის ქვეშ მუცლის წინა კედელთან. თუმბო ივსება ბაკლოფენით, პროგრამირდება, ყენდება პრეპარატის გამოთავისუფლების სიჩქარე.

ცერებრული დამბლის მქონე ბავშვთა 35%-ს აღენიშნება ეპილეფსიური გულყრები, რის გამოც მათ ესაჭიროებათ ელექტროენცეფალოგრაფიული კვლევა და ანტიეპილეფსიური მედიკამენტური მკურნალობა.

ცერებრული დამბლის დროს D ვიტამინი გამოიყენება ოსტეოპენიური მდგომარეობების პროფილაქტიკა/

კორექციისთვის, აგრეთვე ანტიეპილეფსიური პრეპარატების გვერდითი ეფექტების კორეგირებისათვის (თანდართული ეპილეფსიის მკურნალობის დროს და რაქიტის პროფილაქტიკა/თერაპიისათვის).

Kilpinen-Loisa და სხვ (2007) გვთავაზობენ ცერებრული დამბლის მქონე ბავშვებში ვიტამინ D3 1000 I.U დამატებას (10 კვირა). Jekovec-Vrhovšek M. და სხვ. (2000) მონაცემების მიხედვით D ვიტამინის მიწოდება 0.25მგ/კგ/დღე-ღამეში და 500მგ-დან ხელს უწყობს ძვლების მინერალური სიმკვრივის მომატებას ბავშვებში, რომელთაც აღენიშნებათ ც.დ. უფრო მძიმე ფორმები თანდართული ეპილეფსიით. სნასაკი თ. და სხვ. (2000) გვამცნობენ, რომ ცერებრული დამბლის მქონე ბავშვებში მეორადი ოსტეოპოროზის კორექციისათვის რეკომენდებულია ვიტამინ D იზოლირებული ან ბიფოსფონატთან კომბინაციაში გამოყენება. Hough J.P და სხვ. (2010) სისტემატიურ მიმოხილვაში მოცემულია ცერებრული დამბლის დროს ძვლების მინერალური სიმკვრივის გასაუმჯობესებლად D ვიტამინის გამოყენების საერთაშორისო გამოცდილება ჩა შემცველ პრეპარატებსა და ზრდის ჰორმონთან ერთად.

ორთოპედიული ძირუბა

ცერებრულ დამბლასთან ასოცირებული ზოგიერთი მდგომარეობისათვის რეკომენდებულია ორთოპედიული ძირურგიული ჩარევა კუნთებზე, მყესებზე, ნერვებზე ან სახსრებზე. ცერებრული დამბლის მკურნალობის ორთოპედიული ძირურგიული ტექნიკა მოიცავს ნეიროექტომიას, ტენოტომიას, ართროდეზს, ოსტეოტომიას, მყესის დაგრძელებას, გადაწერვას, მყესკუნთოვან დაგრძელებას, ან ამ პროცედურათა სხვადასხვა კომბინაციას. არც ერთმა რანდომიზებულმა კონტროლირებადმა კვლევამ არ დაადასტურა რომელიმე კომბინაციის ოპტიმალურობა ან რომელიმე ზემოწამოთვლილი ოპერაციული მიდგომის უპირატესობა სხვა მიდგომებზე. ბოლო წლებში, ორთოპედიული ძირურგიული ჩარევის საჭიროების შემცირების ან გარკვეული დროით გადადებისათვის ხშირად გამოიყენება ბოტულინის ტოქსინის ინექციები. ყოველგვარი სამედიცინო და ორთოპედიული ძირურგიული ჩარევის წარმატებულობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ფიზიკურ თერაპიასა და ოკუპაციურ თერაპიაზე, მაქსიმალური შედეგისათვის (14, 22, 32).

დახმარე (ტიქნოლოგიური)

საშუალებები, ორთეზები.

მენეჯმენტის ამ მიდგომებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ორთეზირება. ცერებრული დამბლის მქონე ბავშვებში კუნთები არ იზრდება ძვლების ზრდის შესაბამისად. კონტრაქტურები, რომლებიც ამ დროს ყალიბდება, არღვევს ბალანსს და მოძრაობის მექანიზმს. ორთეზები, ფიზიკურ თერაპიასა და სხვა თერაპიულ ჩარევებთან კომბინაციაში, ხელს უწყობს ამ გართულებათა თავიდან აცილებას სპასტიური კუნთების გაჭიმვის (დაგრძელების) მეშვეობით. სტაბილურობა, კონტრაქტურების პრევენცია და მოძრაობის სიფართის შენარჩუნება, რომელიც მიიღწევა ამ გზით, ხელს უწყობს ფუნქციის ნორმალიზაციას. ყველაზე ხშირი გამოყენება აქვს ტერფ-წვივის ორთეზებს. ფიქსირებული კონტრაქტურების არარსებობის შემთხვევაში ორთეზები აუმჯობესებს კინემატიკას და კინეტიკას, ნაბიჯის სიგრძეს, კოორდინაციას და ფუნქციას (4, 12, 26).

მშობელთა ან ძირითად მეურვეთა განათლება და ტრენინგები

ცერებრული დამბლის მენეჯმენტის მნიშვნელოვანი კომპონენტია მშობელთა ან ძირითად მეურვეთა განათლება ტრენინგები თერაპიისა და მოვლის საკითხებზე.

მენეჯმენტი და დაკვირვება

მენეჯმენტი ემყარება მშობლების და ექიმების მჭიდრო თანამშრომლობას. ყველაზე ადვილად ამის მიღწევა შეიძლება მულტიდისციპლინარული გუნდის მონაწილეობით, რომელიც მუდმივად იმყოფება კონტაქტში მშობლებთან პროგრესის და ინტერვენციის გზების შემუშავების მიზნით. მნიშვნელოვანია მშობლების მოლოდინის და რესურსების ცოდნა და მათი მოტივაციის გაგება. ბავშვების არანეგროლოგიური ჯანმრთელობის მონიტორინგი ასევე მნიშვნელოვანია, თუმცა კვება და ნუტრიცია წარმოადგენს მათი კუთილდების ძირითად რგოლს

დამატებითი მკურნალობა და ინტერვენციები ასევე აქტიურად გამოიყენება ამ ასაკობრივ ჯგუფში, თუმცა მათი გამოყენების ან არგამოყენების შესახებ მონაცემები არ არსებობს. დაკვირვების დროს უნდა მოხდეს მოტორული განვითარების პრედიქცია შემდგომი 3-6 თვის მანძილზე-ამის გაკეთება ყველაზე მეტად მიზანშეწონილია ფიზიოთერაპევტთან ერთად. ძალიან ფასეულია პროგრესის მონიტორინგის საქმეში. ყველა ვიზიტის დროს საჭიროა მისი ხელახლა შეფასება და მონაცემთა განახლება. ფუნქციონირების საერთაშორისო კლასიფიკაციის სხვადასხვა ასპექტების გათვალისწინებით თქვენ შეგიძლიათ სპეციფიკური მიზნების განსაზღვრა.

მთავარი გზავნილები

- ცერებრული დამბლა (ცდ) შეიძლება დადგინდეს სიცოცხლის პირველ წელს (წლებში).
